

სადიდებელ-საკედრებელნი

წმიდისა დიდისა და ღმრთივ-აღმართებულისა
სუეტისა-ცხოველისაჲ და პატოისნისა საუფლოჲსა
კუართისაჲ

(დღესასწაული 1 ოქტომბერს, ძვ. სტილით)

სუეტო ღმრთივ-ამაღლებულო, თაყუანის-გცემთ, კუართო
საუფლოო და მირონო წმიდაო, ჯუარო ქრისტეს ღმრთისაო,
თაყუანის-გცემთ, რაჲთა მოსცე ძლევაჲ ღმრთივდაცულსა
ერსა ჩუენსა, შენ მიერ უხუებით გვრგვნოსანსა.

წმიდათა მთავარანგელოსთაჲ

(დღესასწაული 8 ნოემბერს, ძველი სტ.)

ზეცისა ძალთა ერის მთავარნო, საფარველითა ფრთეთა

*მას, ვისაც სურვილი აქვს, ყოველდღიურად ვვედროს თავის
მოსახელე წმიდანს, ამ განყოფილებაში შეუძლია იპოვოს ამ წმიდანის
ტროპარი. რადგან ფიზიკურად ვერ მოხერხდა ყველა ტროპარის
შეტანა, შეიძლება, თქვენთვის სასურველი ტროპარი არ აღმოჩნდეს
განყოფილებაში. ასეთ შემთხვევაში, თქვენს სულიერ მოძღვართან
უნდა გაარკვიოთ, თუ რომელ წმიდანთა დასს (იერარქიას)
მიეკუთვნება თქვენი მოსახელე წმიდანი (მაგ.: წმ. ანგელოზთა, წმ.
წინასწარმეტყველთა, წმ. მოციქულთა თუ სხვა), უნდა მოძებნოთ
იგი წინა განყოფილებაში – „საზოგადო ტროპარ-კონდაკნი“ (გვ.175)
და ლოცვის დროს წმიდანის სახელი უნდა ჩასვათ მითითებულ
ადგილზე.

თქვენთათა შებზღუდენ, მეგრებელნი ესე თქუნენი, და განსლვასა ამას სულისა ჩემისასა მიქსნენით ბნელთა ჰაერის მცველთა კელისაგან.

*წმიდისა დავით წინამსწარმეტყველისაჲ
(დღესასწაული 28 დეკემბერს, ძვ. სტ.)*

უცხოისა სიძღაბლისა მუშაკო, უცხოდ ამაღლებულო, მშულო, მგალობელთა მთავარო დავით, ქრისტეს მამობათა ღირს-ქმნილო, მეოზ გუეყავ ჩუენ წინაშე ღმრთისა, წინამსწარმეტყველო და მეფეო.

*წმიდისა მოსე წინამსწარმეტყველისაჲ
(დღესასწაული 4 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

მართალო, მშულო და გონება-წრფელო, უღმრთოთა ძლიერად დაბნითქელო, ურწყულოთა მომრწყულო და ღმრთის-მხილუელო, სჯულისა მომცემელო, წინამსწარმეტყველთა დასაბამო მოსე, მეოზ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა ილია წინამსწარმეტყველისაჲ
(დღესასწაული 20 ივლისს, ძვ. სტ.)*

წინამსწარმეტყველო დიდო და პატიოსანო, რომელმან ლოცვითა შენითა განაკმენ ცვარნი წვიმისანი და დასცენ მტერნი წინააღმდგომნი, ელია დიდად სახელოვანო, მეოზ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა წინამსწარმეტყველისა ზაქარიასი
(დღესასწაული 5 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

მღუდელობისა სამკაულითა ბრწყინვალედ გარე



შერტყემულმან, ჰსჯულისაებრ ყოვლადდასაწუენი შეწყნარებულნი ღმრთისა მღუდელო შეუნიერად შესწირენ, ზაქარია, და იქმენ მნათობ და მხილველ საიდუმლოთა და მოსწავებათა მაღლისათა შენ შორის მქონებულად გამოსწნდა ყოვლად ბრძენო, და მახვილითა მოიკალ ტაძარსა შინა ღმრთისასა, ქრისტეს წინამსწარმეტყველო, წინამორბედისა თანა მეოზ-გუეყავ ცხოვრებად სულთა ჩუენთათჳს.

*წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲ
(დღესასწაული 7 იანვარს, 24 ივნისს და 29 აგვისტოს, ძვ. სტ.)*

ყოველთა ნაშობთა უმეტესო, მდგომარენი ლოცვათა შინა მორწმუნეთა კრებულნი, ღმობიერად და ცრემლით შევირდებით, ნათლისმცემელო ქრისტესო, მფარველ გუეყავ მოსავთა შენთა.

*წმიდათა თავთა მოციქულთა
პეტრესი და პავლესი
(დღესასწაული 29 ივნისს, ძვ. სტ.)*

თავნი მოციქულთანი ვადიდნეთ, მნათობნი ყოვლისა სოფლისანი: პეტრე, კლდე სიმტკიცისა, პავლე, პირი ქრისტესი და მოძღუარი წარმართთა, რაათა ოხითა მათითა მოვიდოთ შენდობამ ცოდვათა.

*წმიდისა მოციქულისა მათე მახარებლისაჲ.
(დღესასწაული 16 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

მწოდებელსა მას შენსა, ქრისტეს მეუფესა, გულსმოდგინედ შეუდეგ, დამტკევებელი მეზვერეობისა, რომელი გამოუჩნდა

კაცთა ქუეყანასა ზედა სახიერებისათჳს და მოციქულად
რჩეულად გამოჩნდი და ახარე სახარებაჲ სოფელსა ხმამაღლად,
ამისთჳს პატივს ვჰსცემთ წმიდასა კსენებასა შენსა, მათე
ღმრთისმეტყუელო, ევედრე მოწყალესა ღმერთსა, რამათა
ცოდებათა შენდობაჲ მოგუანიჭოს და სულთა ჩუენთა ღიდი
წყალობაჲ.

*წმიდისა მოციქულისა მარკოზ მახარებელისაჲ
(ღღესასწაული 25 აპრილს. ძვ. სტ.)*

თხემისა მის მოციქულთასა პეტრეს მიერ სწავლულ
იქმენ შენ, და მიიღე მოციქულება ქრისტესი, და ვითარცა რა
მზემან კიდენი სოფლისანი განანათლენ, და იქმენ
ალექსანდრელთა შვენიერება, ნეტარო, და შენ მიერ ეგუპტე
იქსნა სავთურისაგან, და სახარებათა შენთა მოძღურებითა
მსგავსად ნათლისა განბრწყინდა, ამისთჳს შენისა კსენებისა
პატივისმცემლნი ბრწყინვალედ ვღღესასწაულობთ დაძინებასა
შენსა, მარკოზ, ღმრთის მქადაგებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა,
რამათა ცოდებათა შენდობაჲ მოანიჭოს სულთა ჩუენთა.

*წმიდისა მოციქულისა ლუკა მახარებელისაჲ
(ღღესასწაული 18 ოქტომბერს,
ძველი სტ.)*

მოციქულო წმიდაო, მახარებულო ლუკა, ევედრე მოწყალესა
ღმერთსა, რამათა ცოდებათა შენდობაჲ მოგვანიჭოს და სულთა
ჩუენთა ღიდი წყალობაჲ.

*წმიდისა მოციქულისა იოანე მახარებელისაჲ
(ღღესასწაული 8 მაისს და
26 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

ჟამსა ვნებისასა წინაშე ჯუარსა მდგომარესა, რომელსა
გიწოდა ძმად თჳსად მეუფემან და შევედრა უბიწოდ შშობელი
თჳსი, შ, ღმრთისმეტყუელო იოანე, მეოზ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა ანდრია მოციქულისაჲ
(ღღესასწაული 30 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

ანდრია მოციქული ვადილოთ, რომელმან მოგუსუნა ხატი
ყოვლადწმიდისა და მით მოგუაქცივნა წარმართნი
თაყუანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

*წმიდისა მოციქულისა იაკობისა,
კორციელად ძმისა უფლისა
(ღღესასწაული 23 ოქტომბერს, ძვ. სტ.)*

ვითარცა უფლისა მოწაფემან, მიიღე, მართალო, სახარება,
და ვითარცა მოწამესა, გაქუს აღსარებაჲ, და კადნიერებაჲ,
ვითარცა ძმასა ლუთისასა, და მეოხება, ვითარცა მღუდელსა,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*ქართუელთა განმანათლებელისა წმიდისა ნინოსი
(ღღესასწაული 14 იანვარს და
19 მაისს, ძვ. სტ.)*

უნათლისცემლე ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა
მწყემსმან კეთილმან, შეჰკრიბე და მიჰკვარე ქართუელნი ღმერთსა

მართალსა, დედაო წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათჳს ქრისტესა ღმერთსა.

*წმ. დიდთა მეფეთა და მოციქულთა სწორთა
კონსტანტინესი და ელენესი
(ღღესასწაული 21 მაისს, ძვ. სტ.)*


ჯუარისა შენისა სახეჲ ცათა შინა იხილა და ვითარცა პავლე, წოდებაჲ არა კაცთაგან მიიღო, რომელი იგი მეფეთა შორის მოციქულად შენდა გამოსჩნდა, უფალო, და საბუეფო ქალაქი კელთა შენთა შეგვედრა, რომელი აცხოვნებ მარადის მშუღობით, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა შეგვწყალებნ ჩუენ.

*წმიდისა პირველმოწამისა,
მოციქულთა სწორისა თეკლესი
(ღღესასწაული 24 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

ჭურო რჩეულო, ჭურისა მისგან რჩეულისა სიწმიდით მდიდრად აღუსებული, ქალწულთა გურგუნო, პირველ მოწამეთა შორის დიდებულო თეკლე, მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდვილთა.

*წმიდისა პირველმოწამე სტეფანესი
(ღღესასწაული 2 აგვისტოს, ძვ. სტ.)*

ბრწყინვალეო და დიდო სამკაულო მოწამეთაო, უძლეველო, საჩინოო მნათობო, ახოვან მოთმინეო სტეფანე სასატრელო, ქრისტეს მკედარო, მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდვილთა.



*წმიდისა დიდმოწამისა ეკატერინესი
(ღღესასწაული 24 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

სათნოებითა, ვითარცა შპისა შარავანდედთა, განანათლენ ურწმუნონი ბრძენნი და ვითარცა ყოვლადბრწყინვალემან მთოვარემან, ბნელსა შინა მავალთაგან ურწმუნოებისა ბნელი განსდევნე და დედოფალი მორწმუნე-ჰყავ, და ზოგად ამხილე მძლავრსა, ღმრთიუ-წოდებულო სძალო, ნეტარო ეკატერინე, და სიხარულით შეხვედით ზეცისა სასძლოსა ყოვლად-შუენიერსა, სიძისა შენისა მიმართ, ქრისტესა და მის მიერ საბუეფოთა გურგუნითა გურგუნოსან იქმენ, და ანგელოსთა თანა მღვომარე ხარ, ევედრე მას ჩუენ ყოველთათჳს, რომელნი აღვასრულებთ ყოვლადპატიოსანსა სასხენებელსა შენსა.

*წმიდისა დიდმოწამისა გიორგისა
(ღღესასწაული 23 აპრილს და
10 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

ტყუეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა კელის-ამპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღუაწლით შემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალისაჲ
(ღღესასწაული 27 ივნისს, ძვ. სტ.)*

ღუაწლით შემოსილო წმიდაო მკურნალო პანტელეიმონ, ევედრე მოწყალებსა ღმერთსა, რაათა ცოდვათა შენდობაჲ მოუგანიჭოს და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

წმიდა დიდმოწამე დიმიტრი თესლონიკელისა
(დღესასწაული 26 ოქტომბერს, ძვ. სტ.)

სამგზის სანატრელო, გურგუნო მოწამეთაო, დიმიტრი
ღმერთშემოსილო, მოგკესენე წინაშე სამებისა ქებით
მაღიდებელნი შენნი და გვითხოვე ქრისტესაგან დიდი
წყალობაჲ.

წმიდისა რაჲდენ პირველმოწამისაჲ,
სოფ. წრომს წამებულსა
(დღესასწაული 3 აგვისტოს ძვ. სტ.)

ხენეშისა სარკინოზობისა დამტყვებელსა და ჭეშმარი-
ტებისა გზათა მავალსა, ქრისტესთვის მრავალთა ჭირთა
მიმთუალელსა, მოწამეთა შორის საჩინოსა, საქართველოს
მნათობსა, დიდსა მოწამესა რაჲდენს შევასხმიდეთ, მორწმუნეო,
ძნობითა საღმრთოჲთა, რაჲთა მეოხებითა მისითა ვიქსნეთ
განსაცდელთაგან.

წმიდისა დიდმოწამისა ირინასი
(დღესასწაული 5 მაისს, ძვ. სტ.)

ტარიგი შენი, იესო, ირინა კმობდა კმითა მაღლითა:
შენდა მსურის სიძეო ჩემო, და შენითა ძიებითა დავსთხვე
სისხლთა ჩემთა, და თანა ჯუარს ვეცმი, და თანა დავეფლვი
შენდა ნათლისღებითა, და მელმის შენთვის, რაჲთა ვსუფევდე
შენთანა, და მოვსწყდები სახელისა შენისათვის, რაჲთა ვიდიდოცა
შენთანა, არამედ ვითარცა მსხუერპლი უბიწო მიმითუალე,
რომელი სურვილით მოვივლტი შენდა, მისითა მეოხებითა,
ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

წმიდისა დიდმოწამისა, საქართველოჲს მნათობისა,
ქეთევან დედუფლისაჲ
(დღესასწაული 13 სექტემბერს, ძვ. სტ.)

დიდებულებაჲ საწუთოჲსაჲ მოიძულე, დედუფალსა ცათა
და ქუეყანისასა უზიარე, დედუფალო ქეთევან, კორცნი მოიწუენ
სიძისა შენისა ქრისტესთვის, მას ევედრე, ჩუენ მონათა შენთა
ქართველთათვის.

წმიდისა დიდმოწამისა ბარბარესი
(დღესასწაული 4 დეკემბერს, ძვ. სტ.)

ქალწულებითა განშუენებულო, წამებითა განბრწყინებულო,
სასწაულთა მოქმედო, სენთა და ბუერთა მკურნალო, მოწამეო
ბარბარე, მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდივითა

წმიდისა მლუდელმოწამისა კჳპრიანესი
და იუსტინა ქალწულისაჲ
(დღესასწაული 2 ოქტომბერს, ძვ. სტ.)

საქმით მიემსგავსე მოციქულთა და საუდარსა მათსა
ღირს იქმენ, საქმეჲ მოიგე ნეტარო, აღმყუანებელი ხედვად,
ამისთვისცა სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა მართლიად
აღმოიტყოდ, და სარწმუნოებით ილუაწე, ვიდრე სისხლთა
დათხევადმდე, წმიდაო მლუდელმთავარო, კჳპრიანე, ევედრე
ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

წმიდათა დავით და კონსტანტინესი
(დღესასწაული 2 ოქტომბერს, ძვ. სტ.)

მოწამეთა შენთა უფალო ღუაწლსა შინა თვისსა გვკრუენი

მოიგეს, უხრწნელებისა შენ მიერ ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ აქუნდათ მათ შენ-მიერი ძალი, და მძლავრი დაამკუეს, და შემუსრეს კერპთა იგი უძლური ძალი, მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

*წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ
(ღღესასწაული 29 ივლისს, ძვ. სტ.)*

ნათლითა ეღვართა შემკულო, მკნეო მკედარო ქრისტესო, მოწამეთა მთავარო, ევსტათი, ძით და მეუღლით შენით მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა პატივისმცემელთა შენთა.

*ღიდებულისა მოწამისა შუშანიკ დედუფლისაჲ
(ღღესასწაული 28 აგვისტოს, ძვ. სტ.)*

წამებისა გვრავნითა შეიმკუე მეუღლისა შენისაგან, დედუფალო წმიდაო შუშანიკ, და წარმავლისა დედუფლობისა წილ მოიგე სუფევაჲ წარუვალი, და აწ კადნიერად მღგომარე ხარ წინაშე სიძისა შენისა უკუდავისა ქრისტმსა, მეოხ გუეყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო.

*წმიდისა მარინესი
(ღღესასწაული 17 ივლისს, ძვ. სტ.)*

ბრწყინვალედ განაშუენე ლამპარი შენი სისხლითა ზეთითა, ბრძენთა მათთანა ქალწულთა, სიძისა მომლოდნელთა, ქალწულთა შორის დიდებულო მოწამეო მარინე, მეოხ გუეყავ ჩუენ.

*წმ. და საკრველთმოქმედთა, უვეცხლოთა
მკურნალთა, მოწამეთა კოზმა და დამიანესი
(ღღესასწაული 1 ივლისს და
1 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

წმიდანო უვეცხლონო მკურნალნო, საკრველთმოქმედნო კოზმა და დამიანე, მოიხილეთ და განკურნენით უძლურებანი სულთა და კორცთა ჩუენთანი, უსაყიდლოდ მივიღებესთ და უსასყიდლოდ მოგვცემდით ჩუენ.

*წმიდათა მოწამეთა ბიძინასი და ორთა ძმათა
ქსნის ერისთავთა – ელიზბარისა და შალვასი
(ღღესასწაული 18 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

ლუაწლით შემოსილნო უფლისანო, ნეტარ არს მიწა იგი, რომელთა შეიწყნარეს გუამნი თქუენნი, რამეთუ სტადიონსა მას შინა მტერი მოაუძღურეთ და ქრისტე ღმერთი კადნიერად ჰქადაგეთ, მას, ვითარცა სახიერსა, ევედრენით შეწყალებად სულთა ჩუენთა.

*წმიდისა მღუდელმთავრისა ნიკოლოზისაჲ
(ღღესასწაული 9 მაისს და 6 დეკემბერს, ძვ. სტ.)*

მირონ ქალაქისა ბრწყინვალეზაო, ლუკიისა შემამკობელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უბრალოთა სიკუდილისა დამკსნელო, დილო მღუდელმთავარო ნიკოლოზ, მეოხ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა ბასილი დიდისაჲ
(ღღესასწაული 1 იანვარს, ძვ. სტ.)*

ყოველთა სენთა საკურნებელად, შეცოდებულთა სულთა

გამომკნელად გამოსჩნდი, ყოვლად-სანატრელო ბასილი, საღმრთოჲსა მღუდელობისა საუნჯეო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ
(დღესასწაული 25 იანვარს, ძვ. სტ.)*

იშუებენ ერნი და განცხრების ეკლესია, და იხარებს წმიდა ბრძენთა კრებულნი, ღმრთისა სიტყუსა საუნჯეო გრიგოლი, მეოხ გუეყავ პატივისმცემელთა შენთა.

*წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ
(დღესასწაული 27 იანვარს და
13 ნოემბერს, ძვ. სტ.)*

ჲმა ტკბილად მკმობარეო ორღანოო, ოქროსა ნესტუო, მღინარეო საღმრთოთა სწავლათაო, მვედრებელთა შენთა გეითხოვე ცოდვათა მოტეებაჲ, იოანე ოქროპირო, მეოხ გუეყავ წინაშე სამებისა.

*წმიდისა ათანასე დიდისა
აღეჟსანდრიელი მთავარეუბისკოპოსისაჲ
(დღესასწაული 2 მაისს, ძვ. სტ.)*

სუეტ იქმენ მართლმადიდებლობისა საღმრთოთა ღოგმატთა მიერ დამამტკიცებელ ეკლესიისა, მღუდელმთავარო ათანასე, რამეთუ თანაარსად მამისა ქადაგებითა ძისათა სირცხვილეულ ჰყავ არიოხ, ღირსო მამაო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა
დაეთა აღმაშენებლისაჲ
(დღესასწაული 26 იანვარს, ძვ. სტ.)*

საკურველება რომელი ჰქმენ, უფალო, წმიდისა შენისა შორის, კეთილმსახურისა მეფისა დავითისა, ზესთა აღხდების გონებასა სიტყვსმოქმედთასა, რამეთუ ადიდე იგი სახელისათჳს შენისა, ვიდრე დაქსნამდე სარკინოზთა, ბრწყინვალეთა მიერ ძლევათა ყოვლად საკურველთა, ზოლო შემდგომად დაქსნისა სარკინოზთასა დიდებულ ჰყავ ნიშთა მიერ საკურველთა, რომლისა ოხითა მოეც სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

*წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა
ვახტანგ გორგასალისაჲ
(დღესასწაული 30 ნოემბერს ძვ. სტ.)*

ძლევენი ყოვლად დიდებულნი საჭურველთა ცხოველ-სმყოფელისა ჯუარისათა წარმართენ, საწუთოჲ სამეფოჲ სიბრძნით განაგე და ეკლესია ქართლისაჲ ღუაწლითა შენითა განაშუენე, და აწ იხარებ წინაშე უკუდავისა მეუფისა, წმიდაო, დიდო კეთილმსახურო მეფეო, ვახტანგ, მეოხ-გუეყავ ჩუენ ცოდვილთა,

*ტროპარი წმიდისა მეფისა თამარისაჲ
(დღესასწაული ძვ. სტოლით 1 მაისს და
მენელსაცხებლე დედათა კერას)*

წმიდათა შორის საკურველო, კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდეთა ზედა მალალოთა აღაშენენ საყდარნი სავედრებელად ღმრთისა, ლოცვითა შენითა განაძლიერე

მკდრობანი ქრისტეს მოყვარისა ქართველთა ერისანი, ხოლო მარჯუენითა შენითა დაამზუნ სპანი აგარიანთანი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

*წმიდისა თეოდორე ტირონიისა
(ღღესასწაული 17 თებერვალს, ძვ. სტ.)*

იშუებს ტირონი და განსცხრების ღუაწლთა შენთა სიმრავლესა, მკნეო თეოდორე ღირსო, აღმოდის კურნება სასწაულთა შენთა, და ჩუენ, მგალობელთა შენთა, გვიოხოვე ქრისტესაგან დიდი წყალობაჲ.

*მართალთა იოაკიმე და ანასი
(ღღესასწაული 9 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

რომელი ჰსჯულსა შინა მადლისა მიერ განმართლდეს და ყრმა ღმრთიუ-მონიჭებული გვიშუეს ჩუენ, იოაკიმ და ანა, ამისთვისცა დღეს ბრწყინვალედ განცხრების სოფელი და ღღესასწაულობს ეკლესია ღმრთისა პატიოსანსა ქსენებასა მათსა და აღიდებს ღმერთსა, რომელმან აღგვიდგინა ჩუენ რქაჲ ცხოვრებისა სახლსა დავითისსა.

*წმიდისა სუმეონ მიმრქმელისა
(ღღესასწაული 3 თებერვალს, ძვ. სტ.)*

სუმეონ მოხუცებული ვადიდოთ, რომელმან ახარა ადამს გამოქსნაჲ ბნელისაგან და აღმოყვანებაჲ კუალად მუნევე სამოთხედ, და ჩუენ, მგალობელთა მისთა, მოგუძღლოს ცოდვათა მოტეეებაჲ.

ხოლო
თა
გურ
შენთა
ბა
ნივე
შენ
ეს
ანა,
და
სა
ენ
ეს
ს
ენვე
ათა

*წმიდისა ილია მართლისაჲ (ჭავჭავაძე)
(ღღესასწაული 20 ივლისს ძვ. სტ.)*

ღუაწლთა და სისხლთა შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ მოიმუშაკე და გონებითა ღმრთიუ-ბრწყინვალითა დაცემულნი კუალად აღგუადგინენ, ჭეშმარიტებაჲ სთესე და გურგუნი უკუდავებისაჲ მოიპოვე, სიმართლისათჳს დაითმინე და ზესთა სოფელი დიდებისაჲ დაიმკუდრე, ძეო ქართველთა ერისაო, ერისათჳს წამებულო, წმიდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათჳს, შეწყალებად სულთა ჩუენტათჳს.

*ღირსისა ბესარიონ მეგუპტელისა
საკურველთმოქმედისა
(ღღესასწაული 6 ივნისს, ძვ. სტ.)*

ღმერთო მამათა ჩუენტაო, რომელი ჰყოფ მარადის ჩუენ ზედა კეთილსა სახიერებისა შენისასა, ნუ განმამორებ წყალობას შენსა ჩუენგან, არამედ მათითა მეოხებითა მშუდობით განაგე ცხოვრებაჲ ჩუენნი.

*ღირსისა მარიამ მეგუპტელისა
(ღღესასწაული ძვ. სტილით 1 აპრილს და
დიდმარტვს მე-5 კვრას)*

შენ შორის, საკურველო, ღედაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯუარი და შეუდეგ ქრისტესა და მოქმედი ასწავებდი შეურაცხყოფასა ზორცთასა, ვითარცა წარმავალსა; ხოლო ღღწასა სულისასა, ვითარცა უკუდავისა არსებისასა, რომლისათჳსცა ანგელოსთა თანა იხარებს სული შენი, ნეტარო მარიამ.

*წმიდისა საბა განწმედილისაჲ
(დღესასწაული 5 დეკემბერს, ძვ. სტ.)*

მთიებო ყოვლადბრწყინვალეო, მაღიღებელთა შერთა მღუპე ფრთედ, მიწა-მკუეთ ეთერისა ჰქმენ, მთხრებლ კიბედ კამარათა ცისათა, ზეშთა ზენაჲსა მყის ამაღლდი სუფევად, მამაო შიო ასურო, სურის ქართველთა შენდა, და მოივლტიან სამარხოდ შენდა, მეოხ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა დავით გარეჯელისაჲ
(დღესასწაული პირველ ხუთშაბათს შემდგომად
ამაღლებისა)*


საზრდელითა პირ-მეტყუელითა იზრდებოდი სიბრძნითა და ცხოვრებითა ანგელოსებრ სცხოვრებდი, სანატრელო გარეჯელო დავით, დასცენ მტერნი ჩუენნი, ვითარცა ვეშაპი იგი.

*ღირსისა აბბა იოსებ ალავერდელისა
(დღესასწაული 15 სექტემბერს, ძვ. სტ.)*

იხარებს დღეს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთა და თაყუანისცემასა შესწირვენ ღმერთსა, რომელმან მოსცა ესე ვითარი მამა, მზრუნველი და მეოხი და შეიცვენ ლარნაკთა შენთა და შენ მიერ მოიღებენ ღმრთისაგან მდიდრად წყალობასა, ღირსო იოსებ.

*წმიდისა შიო მღუძელისა
(დღესასწაული 9 მაისს და ყველიერის ხუთშაბათს)*

მღუპე ფრთედ, მიწა-მკუეთ ეთერისა ჰქმენ, მთხრებლ



კიბედ კამარათა ცისათა, ზეშთა ზენაჲსა მყის ამაღლდი სუფევად, მამაო შიო ასურო, სურია ქართველთა შენდა და მოივლტიან სამარხოდ შენდა, მეოხ გუეყავ ჩუენ.

*წმიდისა გიორგი მთაწმიდელისაჲ
(დღესასწაული 27 ივნისს, ძვ. სტ.)*

ფშვის ქუეყანა ქართლისა სუნნელებითა გადმო-თარგმანებითა წერილთა შენთათა, და უმეტრებისა გვაღვითა განკმელი ერი ქართველთა, სწავლათა შენთა წვიმისა სიკმითა მწყურნებნი შენდავე მოვივლტით, ითხოვე ღმრთისაგან მშულობა ერისა ჩუენისა და ქსნა მისი უღლისაგან მტერთასა.

*ყოველთა წმიდათაჲ
(დღესასწაული სულითმოფენობის
დღესასწაულის შემდგომ კურას)*

მოციქულნო და წინაჲსწარმეტყუელნო, მოწამენო და ნეტარნო მამანო, მამათ-მთავარნო და ქალწულნო, და ყოველნო წმიდანო ღმრთისანო, მეოხ-გუეყენით წინაშე ღმრთისა.